საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო
კონსერვატორია
თბილისი 0108, გრიბოედოვის ქ. N 8-10 ტელ/ფაქსი:(+995 32) 2 999 144,
www.tsc.edu.ge ელ–ფოსტა: info@tsc.edu.ge; inter@tsc.edu.ge

KA000035780346620

№ 01-111-R

07 / ივნისი / 2020 წ.

ბრძანება

საბაკალავრო პროგრამებზე მისაღები გამოცდების შესახებ

საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ 22-ე მუხლის, სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების მე-14 მუხლის მე-9 პუნქტის, საფუძველზე:

ვბრძანებ:

1.სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში 2020-2021 სასწავლო წლისათვის მიღება გამოცხადდეს შემდეგ საბაკალავრო პროგრამებზე: „საშემსრულებლო ხელოვნება“ (კლავიშიანი საკრავები, აკადემიური გუნდის დირიჟორობა, სოლო აკადემიური სიმღერა /ქალები, ვაჟები/, საორკესტრო სიმებიანი საკრავები /ვიოლინო, ალტი, ჩელო, კონტრაბასი, არფა, გიტარა/, საორკესტრო ჩასაბერი /ფლეიტა, ჰობოი, კლარნეტი, ფაგოტი, ვალტორნა, საყვირი, ტრომბონი, ტუბა/ და დასარტყამი საკრავები), „ჯაზის ხელოვნება“, „კომპოზიცია“, „მუსიკის თეორია“ და „მუსიკა და დღევანდელობა“ (მუსიკის ტექნოლოგია, მუსიკის ჟურნალისტიკა);

2.საბაკალავრო პროგრამებზე „საშემსრულებლო ხელოვნება“, „ჯაზის ხელოვნება“, „კომპოზიცია“ და „მუსიკის თეორია“ აბიტურიენტთა მისაღები გამოცდებისთვის (შემოქმედებითი ტურებისთვის) განისაზღვროსრეგისტრაციის ვადები:

ა)დოკუმენტების გამოგზავნა ელ.ფოსტაზე registration@tsc.edu.ge 2020 წლის 07 ივნისიდან 15 ივნისის ჩათვლით, თბილისის დროით 19:00 საათამდე;

ბ) მითითებულ პერიოდში დარეგისტრირებულ აბიტურიენტთა დოკუმენტების ხარვეზის გამოსასწორებლად დამატებითი დრო 2020 წლის 16 ივნისი, თბილისის დროით 19:00 საათამდე;

3.კოვიდ-19 ვირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე სპეციალობის გამოცდაზე შემოქმედებით ტურში მონაწილე აბიტურიენტთა რიგითობა განისაზღვროს ანბანური პრინციპით;

4.აბიტურიენტებს დასარეგისტრირებლად განესაზღვროთ შემდეგი დოკუმენტაცია: შემოქმედებით ტურებზე რეგისტრაციის შევსებული ფორმა, პირადობის მოწმობის/პასპორტის ასლი, ერთი ფოტოსურათი ელექტრონული სახით (3X4, JPG),გამოცდების საფასურის (50 ლარი) გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითრის ასლი.

5.კონსულტაციები / რეპეტიციები ჩატარდეს 2020 წლის 16-19 ივნისს;

6.შემოქმედებითი ტურების განრიგი გამოცხადდეს 2020 წლის 18 ივნისს;

7.შემოქმედებითი ტურების ჩატარების პერიოდი განისაზღვროს 2020 წლის 20 ივნისიდან 27 ივნისის ჩათვლით;

8.შემოქმედებითი ტურების საბოლოო შედეგები გამოცხადდეს 2020 წლის 27-29 ივნისს;

9.წინამდებარე ბრძანება კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეცეს საგამოცდო ცენტრის წევრებს.

10.ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე;

11.ბრძანება გამოქვეყნდეს კონსერვატორიის ვებ-გვერდზე www.tsc.edu.ge

12.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში, ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

ნანა შარიქაძე